ბორჯომი

14 აპრილი
ხუთშაბათი
2022 წელი
№15 (9225)
ფასი 40 თეთრი

რაიონის საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი გამოდის 1931 წლის 20 ივლისიდან

დაუვიწყარი ეროვნული დღესასწაული

1989 წლის 9 აპრილიდან 33 წელი გავიდა. ბორჯომის მერმა **ოთარ არბოლიშვილმა,** საკრებულოს თავმჯდომარემ **დავით ზაალიშვილმა**, მერის მოადგილემ **იოსებ რაზმაძემ** და ადგილობრივი თვითმართველობის საზოგადოებრიობის წარმომადგენლებმა 9 აპრილის მემორიალთან პატივი მიაგეს თავისუფლებისთვის დაღუპული გმირების ხსოვნას და მემორიალი გვირგვინებით შეამკეს.

მამა იოანემ (ხეცურიანი) დაღუპულთა სულის მოსახსენიებელი პანაშვიდი გადაიხადა, რომლის დასრულების შემდეგ კულტურისა და ხელოვნების ცენტრის ორგანიზებით ადგილზე ღონისძიება გაიმართა.

ოთარ არბოლიშვილმა თავის გამოსვლაში აღნიშნა: - 9 აპრილი ჩვენი ქვეყნის თანამედროვე ისტორიაში უმნიშვნელოვანესი თარიღია. ზუსტად 33 წლის წინ სრულიად საქართველო გაერთიანდა თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისთვის ბრძოლაში. პატივს მივაგებ გმირების ხსოვნას, ვინც საკუთარი სიცოცხლე შესწირა ჩვენი ქვეყნის თავისუფლებას.

33 წლის წინ, საქართველოს დამოუკიდებლობისთვის ბრძოლას 21 ადამიანის სიცოცხლე შეეწირა, ათასობით ადამიანი მოიწამლა. მშვიდობიანი მომიტინგეები საბჭოთა კავშირიდან გამოსვლასა და საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენას ითხოვდნენ. ქართველმა ხალხმა 9 აპრილი ეროვნულ დღესასწაულად და ეროვნული ერთიანობის დღედ გამოაცხადა.

ცხრა აპრილი - ჩვენი ტკივილიანი სიამაყე

„გმირების სისხლი უფრო ახლოს არის ღმერთთან, ვიდრე სწავლულთა მელანი... თავისუფლებისთვის სისხლი უკვე გამოსყიდულია! მას აქეთ გვმართებდა თავისუფლებისა და დამოუკიდებლობის შენარჩუნება, მოვლა, გაფრთხილება... გმირებად არსად იბადებიან, გარდა საქართველოსი“ - ნაპოლეონმა თქვა ეს და კიდევ ბევრი მსოფლიოსთვის ცნობილი პიროვნება აღიარებდა ჩვენი ხალხის თავდადებას. ეს ასეც არის! მთელი ჩვენი ისტორიის მანძილზე ქართველი იბრძოდა. იბრძოდა არა იმის გამო, რომ სხვისი ტერიტორიები მიეთვისებინა, არა. იმის გამო, რომ არ დაეკარგა რწმენა და ყოფილიყო დამოუკიდებელი. ბევრი შეეწირა სწორედ ამ ბრძოლას. ვართ კი ჩვენთვის დალუპული გმირების ღირსი?!. სულ გმირებს ვეძებთ მას აქეთ! შინაგანად პატრიოტები ყოველწლიურად, უკვე ოცდამეცამეტედ ამ დღეს ვიხსენებთ იმ მტკივნეულ ჭრილობას, რასაც 28 ადამიანის სიცოცხლე ჰქვია. ალბათ, მაშინაც იყო აზრი: რატომ აღიზიანებენ ეს ახალგაზრდები რუსეთს, რა უნდათ ქუჩაში? მაგრამ განა, დღეს მათ გამო არ ვართ თავანეულები? ყველა დროის ხელისუფალი ცდილობს მივიდეს, ქედი მოიხაროს და თაიგულით შეამკოს მადლიერების ნიშნად მათი საფლავები. როგორც ინანასწარმეტყველა სულმნათმა მერაბ კოსტავამ: - დაიმახსოვრეთ, თქვენ მოესწრებით იმ დროს, როცა საქართველო დამოუკიდებელი გახდება! მაგრამ იცოდეთ, თუ მაშინაც დამოუკიდებლობისთვის ბრძოლას შეწყვეტთ, ამ თავისუფლებას დაკარგავთ თქვენც და ქვეყანაც!. დღესაც ვდგავართ ამ „სალ კლდესთან“. ის ხომ ნანგრევით მოსიყვარულე, ნანგრევით ქრისტიანი, ნანგრევით მართლმადიდებელი მეზობელია! თავისუფლებას რომ ვაჭიდავებთ მშვიდობასთან და გვეუბნებიან - აირჩიეთ, რომელიო - ისეთი მშვიდობა რისი მომტანია, თუ არ ვიქნებით თავისუფალნი? მონობაც ხომ უკვე გავლილი გვაქვს, თან ლამის ორი საუკუნე... **„მონობის ულელს ვერ იტევს ფიქრი, ადრე თუ გვიან, ერი აღდგება. დაეცნენ ქალები, ვერ გახდნენ დედები“...** ნოელი ურჩხულის ბოლო გაბრძოლება გვეგონა, მაგრამ... კვლავ ეროვნული ლიდერის ძიებაში ვართ! მანტიებში გახვეული ფარისევლები მოკლე მეხსიერებით ვერაფერი იმედია ხალხისთვის. ჩვენ არც გმირების გამოგონება გვჭირდება, არც სიყვარულის, არც ცრემლის და არც პატრების. ჩვენ ეს წინაპრებიდან მოგვდგამს! ჩვენ დიდი ფასი გადავიხადეთ ამისთვის და გვინდა დღეს მშვიდად, საამაყო წარსულით, ბედნიერი მომავლით ცხოვრება, თუმცა თვალითაც, ყურითაც, ქმედებითაც მუდამ ფხიზელნი უნდა ვიყოთ, რათა არ „გადავთელოთ“ ცხრა აპრილის დღის მადლი. ბორჯომელი პოეტის - **ნინო ხოტივარილომიძის** პატარა ლექსით მინდა დავასრულო ჩემი სათქმელი: **„ბრმა სიმღერა ხილულ მტერთან, ცრემლი, ტიტა... უთვალავი, თავისუფალ ქირისუფლის ასარჩევი გზა და კვალი. ჩუმი გვემა, ღია ჯვარცმა, ძიების გზა საარსებოდ, ერთად ყოფნა შეგვარჩინე მსხვერპლშეწირულო საქართველო!“**

მონიკა ჯანტურია

ჰუმანიტარული ტვირთის მეორე ეტაპი

სამცხე-ჯავახეთის რეგიონიდან უკრაინაში ჰუმანიტარული ტვირთის მეორე ეტაპი იგზავნება.

პრემიერ-მინისტრის გადაწყვეტილებით, რეგიონის სახელმწიფო რწმუნებულებისა და მთავრობის რეგიონებთან ურთიერთობის დეპარტამენტის ჩართულობით, მთელი საქართველოს მასშტაბით, უკრაინელი ხალხის დასახმარებლად მეორე ეტაპზე შეგროვილი ჰუმანიტარული ტვირთის შესყიდვა მუნიციპალიტეტების მერიების სარეზერვო ფონდიდან, ასევე საჯარო მოხელეების, მოქალაქეების და ბიზნეს სექტორის შემოწირულობებით მოხდა.

პრემიერის გადაწყვეტილებით პირველ ეტაპზე რეგიონებიდან უკრაინელი ხალხის დასახმარებლად, 150 ტონაზე მეტი ტვირთი უკვე გაიგზავნა, ხოლო მეორე ეტაპზე დასავლეთ საქართველოდან 50 ტონაზე მეტი ტვირთი შეგროვდა, აღსანიშნავია რომ აღმოსავლეთ საქართველოში შეგროვებული ჰუმანიტარული ტვირთის მეორე ეტაპი უკრაინაში რამდენიმე კვირის წინ გაიგზავნა.

2021 წელს ბორჯომის მუნიციპალიტეტში განხორციელებული სახელმწიფო შესყიდვების ანგარიში

ბორჯომის მუნიციპალიტეტის საკრებულომ მოისმინა და დადებითი შეფასება მისცა მერიის სახელმწიფო შესყიდვების მიზნით განხორციელებულ ღონისძიებებს. როგორც მომხსენებელმა შესყიდვების სამსახურის უფროსმა ქალბატონმა **მაია მახარაშვილმა** აღნიშნა: - 2021 წლის სახელმწიფო შესყიდვების გეგმა განისაზღვრა **18 322 773** ლარით, მათ შორის: **ადგილობრივი ბიუჯეტის გეგმა** განისაზღვრა **9 784 812** ლარით, რაც მთლიანი შესყიდვის გეგმის **53,40%**-ია, ხოლო **სახელმწიფო ბიუჯეტის გეგმა** განისაზღვრა **8 537 961** ლარით, რაც მთლიანი შესყიდვის გეგმის **46,60%**-ია.

2021 წლის განმავლობაში ბორჯომის მუნიციპალიტეტის მიერ სულ გაფორმებულ იყო **281** სახელმწიფო შესყიდვების ხელშეკრულება ჯამური ღირებულებით **19 375 576** ლარი.

მათ შორის:

■ **გამარტივებული შესყიდვის** შედეგად - გაფორმდა 169 ხელშეკრულება ჯამური ღირებულებით 1 233 205 ლარი.

■ **ელექტრონული ტენდერის** შედეგად - გაფორმდა 88 ხელშეკრულება ჯამური ღირებულებით 17799381 ლარი.

■ **კონსოლიდირებული ტენდერის** შედეგად - გაფორმდა 24 ხელშეკრულება ჯამური ღირებულებით 342990 ლარი.

2021 წელს შესყიდვების განსახორციელებლად გამოცხადდა და საბოლოო სტატუსი მიენიჭა 120 **ელექტრონულ ტენდერს,** გამოცხადებული ტენდერებიდან **91** ტენდერს მიენიჭა სტატუსი „ხელშეკრულება გაფორმებულია“, რომლის ხვედრითმა წილმა შეადგენა **75,83%, 12** ტენდერი „დასრულდა უარყოფითი შედეგით“, **16** ტენდერი „არ შედგა“, ხოლო 1 ტენდერი „შეწყვეტილია“.

ჩატარებული ტენდერებიდან 51 ტენდერი ჩატარდა ინფრასტრუქტურის, სამშენებლო სამუშაოების, 20 სხვადასხვა მომსახურებების და 18 საქონლის შესყიდვაზე.

2021 წელს ხელშეკრულება გაფორმებული ტენდერების საწყისი სავარაუდო ღირებულებამ **19 745 163** ლარი შეადგინა, ხოლო ელექტრონული ტენდერების შედეგად ჯამური სახელშეკრულებო ღირებულებამ კი **17 799 381** ლარი, რაც **20,78%**ით აღემატება წინა წლის იგივე მაჩვენებელს. შესაბამისად სახელმწიფო შესყიდვების ელექტრონული სისტემის მეშვეობით წლის განმავლობაში მიღწეულ იქნა **1945782** ლარის ეკონომია, რაც ჯამური სავარაუდო ღირებულების **9,85%**-ს შეადგენს.

ეკონომიკური მაჩვენებლები შესყიდვის ობიექტის მიხედვით: საქონელის შესყიდვიდან მიღებულია**23909 ლარი**; სამშენებლო სამუშაოებიდან - **1 365 462,** ხოლო მომსახურებიდან - **556 411** ლარი; სულ **1 945 782** ლარი.

2021 წელს **გამარტივებული შესყიდვის საშუალებით** სულ განხორციელდა 1278321 ლარის ოდენობის სახელმწიფო შესყიდვა, რაც **8%**-ით ნაკლებია წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელთან შედარებით (**1388879** ლარი).

2021 წელს სხვადასხვა სახის საქონლის შესყიდვის მიზნით განხორციელებული სახელმწიფო შესყიდვის საფუძველზე გაფორმებული ხელშეკრულებების საერთო ღირებულებამ შეადგინა 684 023 ლარი. კერძოდ, შეძენილია: საკანცელარიო ნივთები, საწმენდი და ჰიგიენური საშუალებები, სხვადასხვა მცირეფასიანი საოფისე ინვენტარი, სამეურნეო საქონელი, სასაჩუქრე წიგნები და ნივთები, კატალოგები, ჟურნალ-გაზეთები, მისალოცი ბარათები, ბანერები, სასმელი წყალი, სადეზინფექციო საშუალებები, ავტომანქანების საბურავები, ყვავილები, საწვავი და საპოხი მასალები, საპარკე სკამები, საოფისე ავეჯი, სხვადასხვა კომპიუტერული აქსესუარები, დროშები, პორტატული ჟანგბადის აპარატები, კონდენციონერები, ტრენაჟორები, სხვადასხვა მცენარეების ნერგები და სხვა.

საანგარიშო პერიოდში მომსახურების შესყიდვის მიზნით განხორციელებული სახელმწიფო შესყიდვის საფუძველზე გაფორმებული ხელშეკრულებების საერთო ღირებულებამ შეადგინა **1 094 785** ლარი. კერძოდ, განხორციელდა შემდეგი მომსახურების შესყიდვა: საფოსტო, სატელეკომუნიკაციო და ინტერნეტის მომსახურება, ადმინისტრაციული შენობის, ტურისტული საინფორმაციო ცენტრის და საიდუმლო ოთახის დაცვა, საბუღალტრო პროგრამის და კოდექსის პროგრამის, საკანონმდებლო მაცნეს მომსახურება, სხვადასხვა საოფისე ინვენტარისა და ტექნიკის შეკეთების მომსახურება, ავტომანქანების მიმდინარე შეკეთება და სხვა ტექნიკური მომსახურება, კულტურული და გასართობი ღონისძიებების ჩატარების მომსახურება, სატრენინგო, საინფორმაციო საშუალებების მომსახურება, წვევამდელების გადასაყვანად სამგზავრო ტრანსპორტის მომსახურება, საჯარო სკოლების მოსწავლეების სატრანსპორტო მომსახურება, საარქივო მასალების შენახვის და სამეცნიერო-ტექნიკური დამუშავების მომსახურება, მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული შენობის მინების წმენდის მომსახურების და უმეთვალყურეოდ დარჩენილი ძაღლების თავშესაფარში გადაყვანის მომსახურება, ვიდეო სათვალთვალო კამერების მოვლა-პატრონობის მომსახურება. ასევე განხორციელდა მუნიციპალიტეტის მიერ ჩასატარებელი სამშენებლო-სარემონტო სამუშაოების საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენის და საზედამხედველო მომსახურება და სხვა მომსახურების შესყიდვა.

(გაგრძელება მეორე გვერდზე)

უკრაინის ფოსტა - საქართველო 191 ქვეყანას შორის პირველი ადგილია

საქართველო 191 ქვეყანას შორის პირველ ადგილზეა უკრაინისთვის 400 ტონა ჰუმანიტარული ტვირთის მიწოდებით. შესაბამის ოფიციალურ მონაცემებს უკრაინის სახელმწიფო ფოსტა „Ukrposhta“ აქვეყნებს.

ამავე უწყების ცნობით, საქართველო იმ 14 ქვეყანას შორისაც დასახელდა, რომელიც ფიზიკურ და იურიდიულ პირებს აძლევს საშუალებას უფასოდ გააგზავნონ საფოსტო გზავნილები (ამანათები) უკრაინის მიმართულებით მათთვის სასურველ ადრესატებთან.

„ukrpoStis“ მონაცემებით, მეორე ადგილზეა **რუმინეთი** - 80 ტონა ჰუმანიტარული ტვირთით, მესამეზე **ბელგია** 40 ტონა ტვირთით. უკრაინის ფოსტის მიერ გამოქვეყნებული ინფორმაცია პირველი აპრილის მონაცემებს ასახავს.

საქართველოს პრემიერ-მინისტრ **ირაკლი ღარიბაშვილის** გადაწყვეტილებით, უკრაინაში პირველი ჰუმანიტარული ტვირთი თებერვალში გაიგზავნა. ასევე საქართველოს პრემიერ-მინისტრის გადაწყვეტილებით, ქვეყნის ყველა რეგიონის სახელმწიფო რწმუნებულებისა და მთავრობის რეგიონებთან ურთიერთობის დეპარტამენტის ჩართულობით, მთელი საქართველოს მასშტაბით, ჰუმანიტარული ტვირთი შეგროვდა და უკრაინაში გაიგზავნა რამდენიმე კვირის წინ.

უკრაინელთა დასახმარებლად ჰუმანიტარული ტვირთი შეაგროვა და უკრაინაში გააგზავნა საქართველოს პარლამენტმა, თბილისის მერიამ, საპატრიარქომ, სურსათის ეროვნულმა სააგენტომ.

გარდა ამისა, მთავრობის ინიციატივით, სააგენტომ „აწარმოე საქართველოში“ კამპანია „აწარმოე უკრაინისთვის“ წამოიწყო, რომლის ფარგლებშიც ქართული კომპანიების წარმოებული ან მათ მიერ შეძენილ სხვადასხვა საჭიროების პროდუქცია უკრაინაში სამ ეტაპად გაიგზავნა.

უკრაინაში ჰუმანიტარული ტვირთების გაგზავნა ლოგისტიკურად „საქართველოს ფოსტამ“ უზრუნველყო უკრაინის ფოსტასთან თანამშრომლობით. ამასთან, „საქართველოს ფოსტამ“ დაიწყო კამპანია და უკრაინელი ხალხის სოლიდარობის ნიშნად, საქართველოს მთავრობის გადაწყვეტილებით, ფიზიკური პირებისგან, უფასოდ აგზავნის ჰუმანიტარული დანიშნულების საფოსტო გზავნილებს უკრაინის მიმართულებით.

ასევე, „საქართველოს ფოსტის“ თანამშრომლებმა, უკრაინის სახელმწიფო ფოსტის „ukrposhta“ თანამშრომლებს, სოლიდარობის ნიშნად, გაუგზავნეს ჰუმანიტარული დანიშნულების ამანათი.

უკრაინაში ომის დაწყებიდან დღემდე საქართველომ უკრაინელი ხალხის დახმარების მიზნით, სხვადასხვა საჭიროების პროდუქცია, მათ შორის საკვები და სასმელი, პირველადი მოხმარებისა და სამედიცინო დახმარების ნივთები გააგზავნა.

2021 წელს ბორჯომის მუნიციპალიტეტში განხორციელებული სახელმწიფო შესყიდვების ანგარიში (დასასრული)

2021 წელს მუნიციპალიტეტის მიერ ადგილობრივი ბიუჯეტის და საქართველოს მთავრობის სხვადასხვა განკარგულებების საფუძველზე გამოყოფილი თანხებით განხორციელდა შემდეგი სახის ინფრასტრუქტურული პროექტები:

ბორჯომის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე **გზების რეაბილიტაციის სამუშაოების** შესრულების მიზნით განხორციელებული სახელმწიფო შესყიდვის საფუძველზე გაფორმებულია **7 ხელშეკრულება,** საერთო ღირებულებით **3 604 036** ლარი. გზების რეაბილიტაციის სამუშაოები ჩატარდა წაღვერში, ბაკურიანში. სოფლებში: ბეშეთში, ჩითახევში, ვარდგინეთში და ჭიხარულა-მოლითის დამაკავშირებელი საავტომობილო გზაზე, აგრეთვე რეაბილიტაცია ჩაუტარდა ქ. ბორჯომში სააკაძის ქ.№3-ში კორპუსის მიმდებარე ტერიტორიას და რუსთაველის ქ №35-დან №39-ის მიმდებარედ არსებულ ჩიხს. ასევე რეაბილიტაცია ჩაუტარდა ქ. ბორჯომში რუსთაველი ქ. №2-დან აღმაშენებლის ქუჩამდე მდ. მტკვარის გამყოლი ნაპირსამაგრი კედლის, სასტუმრო ლიკანი პალასიდან რუბენ ვეფხვაძის ქუჩამდე ფეხით სავალი გზას, აგრეთვე განხორციელდა რუსთაველის და მესხეთის ქუჩაზე გამყოლი გზისპირა მოაჯირის მოწყობა. აღნიშნული სამუშაოების ჩასატარებლად დადებული ოთხი ხელშეკრულების ღირებულებამ შეადგინა **551 382 ლარი.**

ბორჯომის მუნიციპალიტეტში არსებული **ხიდების, საავტომობილო გზების, ფეხით სავალი ნაწილის, მოსაცდელებისა, გზის გამყოლი მოაჯირების შეკეთების, ასევე სანიაღვრეებისა და კიუვეტების მოვლა პატრონობის სამუშაოების** ჩატარების მიზნით განხორციელებული სახელმწიფო შესყიდვის საფუძველზე გაფორმებულია 7 ხელშეკრულება, რომლის ჯამურმა ღირებულებამ შეადგინა **1 035 343** ლარი.

ანდეზიტში მოეწყო სასმელი წყლის რეზერვუარი, საქლორატორო, ასევე განხორციელდა ახალდაბის, ყვიბისის, კორტნეთის და საკირის სასმელი წყლის მაგისტრალის და შიდა ქსელის მოწყობის სამუშაოები. აღნიშნული სამუშაოების შესრულების მიზნით განხორციელებული სახელმწიფო შესყიდვის საფუძველზე გაფორმებულია 3 ხელშეკრულება საერთო ღირებულებით **1082707** ლარი.

ქ. ბორჯომში წმ. ნინოს, გრიგოლ ხანძთელის, რუსთაველის, ნიკოლაძის, აღმაშენებლის ქუჩებზე, წაღვერში კულტურის სახლის მიმდებარედ და სოფელ ტბაზე მოეწყო სკვერი, მიმდინარეობს ქ. ბორჯომში რუსთაველის ქუჩაზე - სანაპიროზე სკვერის, ასევე კოსტავას სახელობის პარკის და მოედნის სარეაბილიტაციო სამუშაოები, სკვერებში და პარკებში დაიდგა 70 საპარკე სკამი და 10 ხის ფანჩატური. დაირგო 300-ზე მეტი სხვადასხვა სახეობის მცენარეები, ქ. ბორჯომის სკვერებში 5 ლოკაციაზე მოეწყო დეკორატიული საყვავილეები საინფორმაციო დაფების განსათავსებლად. აღნიშნული სამუშაოების შესრულების მიზნით განხორციელებული სახელმწიფო შესყიდვის 15 ხელშეკრულება, საერთო ღირებულებით **7 339 435** ლარი.

ქ. ბორჯომში წმინდა ნინოს ქ. №2-ის მიმდებარედ **სპორტული მოედნების** მოწყობის და ბორჯომში რუსთაველის და ხორავას ქუჩაზე, ყვიბისსა და ტბაზე მოეწყო **გარე გამოყენების ფიტნესის ტრენაჟორების** 4 კომპლექტი, რომელთა შესყიდვის მიზნით განხორციელებული სახელმწიფო შესყიდვის საფუძველზე დადებულია 3 ხელშეკრულება საერთო ღირებულებით **149 073** ლარი.

ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების თანადაფინანსების პროგრამის ფარგლებში რუსთაველის ქუჩის №105-ში საცხოვრებელი კორპუსის სახურავს, რუსთაველის ქუჩის №109-ში მდებარე საცხოვრებელ კორპუსთან საკანალიზაციო ქსელს, სააკაძის ქუჩის №2-ში, ერეკლეს ქუჩის №25-ში, ნინოშვილის ქუჩის №10-ში და რუსთაველის ქუჩა №107-ში მდებარე კორპუსების ლიფტებს ჩაუტარდა რეაბილიტაცია. აღნიშნული სამუშაოების შესყიდვის მიზნით განხორციელებული სახელმწიფო შესყიდვის საფუძველზე დადებულია 3 ხელშეკრულება, საერთო ღირებულებით **193 253** ლარი.

რუსთაველის ქუჩაზე მთელ რიგ შენობების ფასადებს და სახურავებს ჩაუტარდა რეაბილიტაცია, ასევე მესხეთის ქ.№5-ში მდებარე მერიის შენობის გარე ფასადს, მიმდებარე კიბეს და სამუშაო ოთახებს რეაბილიტაციის სამუშაოები ჩაუტარდა, რომელთა შესყიდვის მიზნით განხორციელებული სახელმწიფო შესყიდვის საფუძველზე დადებულია 5 ხელშეკრულება საერთო ღირებულებით 1 395 285 ლარი.

განხორციელდა ქ. ბორჯომში რაზმაძის ქ. №25-ის, თორის ქუჩა №36,40-ის და ჭობისხევში სკოლის მიმდებარედ საყრდენი კედლის მოწყობის სამუშაოები, რომელთა შესყიდვის მიზნით განხორციელებული სახელმწიფო შესყიდვის საფუძველზე დადებულია 3 ხელშეკრულება საერთო ღირებულებით **742 818** ლარი.

გადაუდებელი აუცილებლობიდან გამომდინარე განხორციელდა ქ.ბორჯომში, სააკაძის ქუჩის გამყოლი ღია სანიაღვრე არხის რეაბილიტაცი და ქ.ბორჯომში თორის ქუჩაზე სტიქიის შედეგად დაზიანებული სანიაღვრე არხის გაწმენდა. რომელთა შესყიდვის მიზნით განხორციელებული სახელმწიფო შესყიდვის საფუძველზე დადებულია 2 ხელშეკრულება საერთო ღირებულებით **42 935** ლარი.

ადგილობრივი მნიშვნელობის კულტურული მემკვიდრეობის მოვლა-პატრონობა და რეაბილიტაციის პროგრამის ფარგლებში განხორციელდა ქ. ბორჯომში ლიეტკუვეელი დრამატურგის ანტანას ვილკუტაიტის კეტურაკისის ბიუსტის აღსამართავად შესაბამისი კვარცხლბეკის (პლატფორმის) მოწყობის სამუშაოები (თანხით **11 384** ლარი).

კულტურის სფეროს დაწესებულებების რეაბილიტაციის პროგრამის ფარგლებში განხორციელდა ახალდაბაში რუსთაველის ქუჩაზე კულტურის ცენტრის შენობის რეაბილიტაცია და ბაკურიანში მუსიკალური სკოლის გათბობის ქვაბის შენობის გარეთ გატანის სამუშაოების შესყიდვა თანხით 256 409 ლარი.

სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების რეაბილიტაციის პროგრამის ფარგლებში განხორციელდა ქ. ბორჯომში №1, №3 და №4 საბავშვო ბაღებიის: ვარდგინეთის, ყვიბისის, წაღვერის და ახალდაბის საბავშვო ბაღების შენობის გარეთ საქვაბის მოწყობის სამუშაოების შესყიდვის მიზნით განხორციელებული სახელმწიფო შესყიდვის საფუძველზე დადებულია 2 ხელშეკრულება საერთო ღირებულებით **260 746** ლარი.

სოფელ თორში არსებული მზის ფოტოელექტრული სისტემისათვის აღსადგენი კომპონენტების შესყიდვის (თანმდევი მონტაჟის მომსახურებით) და ქ. ბორჯომში, რუსთაველის ქუჩის გამყოლი სკვერიდან საჰაერო მონაკვეთის გადატანა საკაბელო ხაზში საყრდენებს შორი შესყიდვის მიზნით განხორციელებული სახელმწიფო შესყიდვის საფუძველზე გაფორმებულია 2 ხელშეკრულება საერთო ღირებულებით **269 123** ლარი.

საქართველოს მთავრობის 2019 წლის 31 დეკემბრის №2752 განკარგლების საფუძველზე სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში ბორჯომის მუნიციპალიტეტისთვის გამოყოფილი თანხებით და ბორჯომის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ბიუჯეტის თანადაფინანსებით 34 სოფელსა და დაბაში განხორციელებული პროექტების სახელმწიფო შესყიდვის საფუძველზე დადებულია 36 ხელშეკრულება საერთო ღირებულებით 858 220 ლარი, როთაც შესრულდა სანიაღვრე და სარწყავი სისტემების რეაბილიტაცია; სკვერების; სპორტული მოედნის; ტრენაჟორის; გარე განათების ქსელის მოწყობის სამუშაოები.

„რასაც გასცემ, შენია...“

სიკეთის გასჭეშაპი დაჭლეული

ჩვენი გაზეთის 2020 წლის 31 დეკემბრის ნომერში საკირელი ქალბატონები **ოლია თოფურიანი** და **კლარა ცისკარაძე** სოფლის მოსახლეობის სახელით სამადლობელ წერილს უძღვნიან თანასოფელელ, 83 წლის **ფატი (დარეჯან) კურტანიძეს**. აი, როგორ ახასიათებენ მას: „საოცრად ენერგიული, მხნე და კეთილია“. „ზნემაღალი და უსპეტაკესი, ოთარაანთ ქვრივივით რკინის ქალამნები ჩაიცვა და უტევს პარლამენტს და სამინისტროებს“, „დედა ტერეზასაც“ ეძახიან, რადგან მძიმე ავადმყოფებისათვის სავარძლები ჩამოატანინა ამერიკიდან“... „ცხოვრების ქარცეცხლში გამოწრთობილი სოფლის დედაბოძი“, ხშირად გვინახავს, როცა სოფლის სანიაღვრე სისტემას წმენდს“...

ადამიანზე ამაზე მეტად თბილ და საქები სიტყვების დაწერა ალბათ შეუძლებელია, მაგრამ მისი დახასიათების დადებითი ეპითეტები მინდა კიდევ შევავსო ცალკეული ფაქტებით. საკირეში, ტაძრისში და დგვარში ქუჩებს ჯერ სახელწოდებები არ აქვთ და ტაძრისელების ერთ ჯგუფს უთქვამს: როცა ქუჩებს სახელები დაერქმევა, **ერთ ქუჩას ფატი კურტანიძის სახელი დავარქვათო!** ამ სამი სოფლის მცხოვრებთა ერთ ჯგუფს ესეც უთქვამს: ჩვენი გულისთვის ამდენს რომ დადის და წვალობს, ცოტა ფული შევუგროვოთ და მივცეთო. ასეც მოქცეულან, მაგრამ ქალბატონ ფატის ფული არ აუღია.

ქალბატონ ფატის დიდი ადამიანობისა და კეთილშობილების დასტურად არ შემიძლია აქვე არ მოვიყვანო ბორჯომელებისათვის მეტად საყვარელი პიროვნების, ბორჯომის №6 სკოლის ყოფილი დირექტორის **ეთერ აფხაიძის** წერილი, რომელიც გარკვეული სამედიცინო დახმარების გამო მისთვის მიუწერია 2002 წლის 10 მარტს:

ჩემო უატი!

„დილა რომ თენდება, შენი ლოცვით ვიწყებ დღეს. ეს რა გამიკეთე, რამხელა ადამიანობა გამოიჩინე; დედას რომ მოუვლის კარგი შვილი, ისე მომექეცი. რა ვქნა, რით გცე პატივი, აღარ ვიცი. სხვა თუ ვერაფერი გაგიკეთე, შვილიშვილები მაინც გამომიგზავნე სამეცადინოდ. ფული მოგიტანე, ხელები გაატატანე.

გმადლობ უფალო, რომ კიდევ არიან ასეთი ადამიანები... მიგულე უახლოეს მეგობრად... გკოცნი, გეხვევი დედაშვილურად...“

ფატი დეიდა (დეიდად გეკუთვნო, - მითხრა). **ამჟამად 85 წლისაა (ამ დღეებში შეუსრულდა)** და მადლობა უფალს, რომ კვლავ მხნედ არის და კვლავ მზად არის უანგაროდ ემსახუროს ხალხს და ქვეყანას. იგი მართლაც პირნათლად ასრულებს ერის მამის, დიდი ილიას ანდერძს, რომელიც ყველა ჩვენგანს დაგვიტოვა:

„კაცად მაშინ ხარ საქები,
თუ ეს წესი წესად დარგე:
ყოველ დღესა შენს თავს ჰკითხო:
აბა, მე დღეს ვის რა ვარგე!“

სკოლა საკირეში დაამთავრა, კარგად სწავლობდა; შემდეგ დაამთავრა სატყეო ტექნიკუმი ბორჯომში, ბოლოს - ხაშურის სამედიცინო ტექნიკუმი. დამთავრების შემდეგ სამუშაოდ მიავლინეს გვერდისუბნის საფერშალო-საბებიო პუნქტის ექთნად. იქვე დაოჯახდა, მაჭარწყლელ ვალიკო სანაკოევს (სანაყოშვილს) გაჰყვა ცოლად (შემდეგ გაარკვია, ეთნოგრაფიის ინსტიტუტში, რომ სანაყოშვილები ადრე ჯიჯიშვილებად იწერებოდნენ, ამიტომ მისი შვილიშვილები გიორგი და მალხაზი ჯიჯიშვილები არიან). მოხდა უბედურება, მისი სრულიად უდანაშაულო მეუღლე თანასოფლელებმა მაშინ მოკლეს, როცა შვილები პატარები იყვნენ. ვახტანგი სამი თვისა იყო, მაყვალა - 2 წლის.

10 წელი შავები არ გაუხდია. შემდეგ ექთნად მუშაობდა ბორჯომში სხვადასხვა ორგანიზაცია-დაწესებულებებში 1991 წლამდე. **მიღებული აქვს სამი მედალი „შრომითი მამაცობისათვის“.**

ვერ იტანდა უსამართლობას, ვერ იტანდა სოფლებში და რაიონში ბევრი რამ რომ არ კეთდებოდა „ზევიდან“. ამიტომ ხალხის სახელით ლამაზი კალიგრაფიით დაწერილი წერილი-განცხადებების (და არა საჩივრების) წერა დაიწყო ზემდგომ ორგანოებში. 2014 წლიდან სამი სოფლის - ტაძრისის, საკირის და დგვარის გაზიფიცირებისათვის იბრძვის. ვინღა არ იყო მისი ადრესატი: პრემიერ-მინისტრები, პრეზიდენტები, პარლამენტის თავმჯდომარეები, დეპუტატები, მინისტრები, გუბერნატორი, გამგებლები, მერები, სხვადასხვა კომპანიების ხელმძღვანელები. ამ განცხადებებს მოსახლეობის ხელმოწერები თან ერთვოდა. იქიდან პასუხები მოდიოდა, რა თქმა უნდა, დაპირებებით სავსე.

- დავიღალე მაგათი პასუხებით და დაპირებებით, - ამბობს ქალბატონი ფატი. გაზის გამოყვანას ვერ მიაღწია (რაიონის ხელმძღვანელობათან ერთად), მაგრამ დიდი წვლილი შეიტანა 2019 წლის 15 თებერვალს საკირისა და ტაძრისის მაღალმთიანი სოფლების სტატუსის მინიჭების საქმეში.

ეს საბუთები უზარმაზარი ჩანთით თან დააქვს. იბრძვის იმისთვისაც, რომ ზემოთ დასახელებულ სოფლებს დამატებითი ავტობუსი დაენიშნოს, რომ დაიგოს სოფლის ქუჩებში ბეტონი (ამ მხრივ ბევრი რამ გაკეთდა,) რომ განათებული იყოს ქუჩები, სოფლებს ჰქონდეთ საერთო სტადიონი და ა.შ. ამ საკითხებს, რა თქმა უნდა, ენერგიული მაჟორიტარი დეპუტატიც აგვარებს და, აი, მას „უჩინრად“ ეხმარება ქალბატონი ფატიც...

თვითონაც მრავალჯერ ჩასულა თბილისში ამ საკითხების მოსაგვარებლად. გაზის კომპანიის „სოკარ-ჯორჯიას“ ოფისი კახეთის გზატკეცილზე არის 21-შიო. მეტროდან 300 მეტრში, უკვე ყველა მცნობსო. - ამბობს. ისევ დაპირებები, მაგრამ ეს დაპირებები სწამს, რომ აღსრულდება.

კეთილშობილ ადამიანებს ღმერთიც ეხმარება. ალბათ ამიტომ დაამარცხა კეთილთვისებიანი სიმსივნური დაავადება. **მისთვის მთავარი ჯილდო და სიხარული ხალხის სიყვარულია.** ხარობს ორ შვილთან და სამ შვილიშვილთან ერთად.

კვლავ დიდხანს იცოცხლეთ, ქალბატონო ფატი, რათა ხალხს დიდხანს უანგაროდ გასცეთ სიკეთე და თქვენი მაღალზნეობრიობა დაინახონ მომავალმა თაობებმა!

უჩა ჯანგირაშვილი

SELFIE

გულწრფელი კითხვები და პასუხები

ბატონი თედო მელიქიძე არა მარტო ბორჯომში, არამედ მთელ რეგიონშიც, საკმაოდ ცნობილი და პატივსაცემი პიროვნება გახლავთ. ის ორჯერ აირჩიეს ბორჯომის საკრებულოს დეპუტატად. ხოლო 2002 წელს დამოუკიდებელი კანდიდატი იყო. ბატონი თედო ამჟამად ბორჯომის მუნიციპალიტეტის მერის თანაშემწე გახლავთ. ჩვენ მიერ დასმულ გულწრფელ კითხვებზე, კიდევ უფრო მეტად გულწრფელ პასუხებს დღეს სწორედ ის გასცემს:

● **ბატონო თედო, თქვენ საკრებულოს ორგზის დეპუტატი ბრძანდებოდით, სრულიად უპარტიოდ მოიპოვეთ გამარჯვება 2017 წელსაც, ეს ყოველივე კი ხალხის დიდ სიყვარულსა და თქვენდამი დიდ ნდობაზე მიუთითებს.**

- ბორჯომის მოსახლეობა სამართლიანია. არ დავმალავ და გულწრფელად გეტყვით, ჩემი კუთხის მოქალაქეებს მესხეთ-ჯავახეთის გვარის შვილებს დიდი როლი მიუძღვით ჩემს გამარჯვებაში.

● **ბატონო თედო, ვის დასახლებდით თქვენთვის მისაღებ პიროვნებებად, რომლებმაც თქვენზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინეს?**

- ჩემთვის მისაღებ პიროვნებებს რამდენიმეს ჩამოვთვლი. ესენი არიან: მეუფე კონსტანტინე მელიქიძე, გიორგი ზედგინიძე, მიხეილ თვაური, ზაურ ქურდაძე, თამაზ ლონდარიძე, ჯემალ საბაშვილი, ვალერიან ლომიძე, ჯეირან გურგენიძე, ნოდარ მაღრაძე.

● **როგორი რაიონის ხელმძღვანელია ბატონი ოთარი?**

- ბატონი ოთარი შესანიშნავი პიროვნებაა, გამოცდილი საჯარო მმართველობის მენეჯერია, თანამედროვე, გონიერი, სუფთა წარსულის მქონე ახალგაზრდა კაცია.

● **როგორ განმარტავდით სიტყვას სუფთა კაცია?**

- ადამიანი, რომელიც სუფთა კაცია, მას აქვს სუფთა სინდისი და სუფთა წარსული, არც ტყუილის ეშინია, არც მითქმა-მოთქმის და არც ჭორების.

რა არის სიკეთე?

- სიკეთე ის კი არ არის, შენ რომ სხვას გაუკეთებ, შენ რომ დიამხსოვრებ, სხვამ რა სიკეთე გაგიკეთა, აი ეს არის სიკეთე.

● **უზრდელია ადამიანი...**

- როცა ადამიანი გაზრდილია და არა აღზრდილი.

● **ამაყი ადამიანი..**

- ამაყ ადამიანს ვადარებ ძირს დავარდნილ ფოთოლს...

● **რატომ?**

- ძირს დავარდნილი ფოთოლი ერთ დროს ზემოდან დაჰყურებს ყველას და ყველაფერს.

● **ქალი..**

- ქალი შეუდარებელია, მისი არსებობა შეუფასებელია.

● **ბოროტება...**

- ბოროტება, რომელიც გვგონია, რომ შეგრჩა, შენი შვილების გზაზე დატოვებული ბომბია.

● **რა არის სიკვდილი (გარდაცვალება)?**

- ჩვენ ამ ქვეყნიურ ცხოვრებაზე ძალზე ბევრს ვფიქრობთ, სიკვდილის შემდეგ ცხოვრებაზე ძალიან ცოტას, ჩვენი ცხოვრება არის გამოცდა და მზადება, სხვა ცხოვრებისათვის, მარადიული ცხოვრებისათვის.

● **დამისახელეთ სამი რამ, რაც არ მოგწონთ.**

- მუდმივი წუწუნი, ყველაფრის სხვაზე გადაბრალება, უმადურობა.

● **მოთმინება..**

- ნებისყოფის ყოველივე საფუძველი მოთმინებაა.

● **ვილაც რაიმეს რომ გაბრალებს, როცა მართალი ხარ..**

- როცა მართალი ხარ და გაბრალებენ, მე ამ ადამიანს ვუძახი ღვარძლიან ადამიანს და ასე ავხსნი: მგელს შეხედავ და მიხვდები, რომ მტაცებელი ცხოველია, გველს შეხედავ - მიხვდები, რომ შხამიანი ქვეწარმავალია, ღვარძლიან ადამიანს კი მთელი ცხოვრება რომ უყურო, ვერ მიხვდები მგელია, გველი ან თუ არარაობაა.

მადლობა საინტერესო პასუხებისთვის.

- პირიქით, მადლობა თქვენ და გაზეთ „ბორჯომს“.

საინტერესო პროფესიის ადამიანები

სწორი მიდგომა კომუნიკაციას აადვილებს

ბოლო წლებში სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებებსა თუ საჯარო სკოლებში ბავშვთა და მოზარდთა ფსიქოლოგების, სპეცმასწავლებლებისა და ენისა და მეტყველების თერაპევტთა ჩართულობა ერთ-ერთ პრიორიტეტულ საკითხს წარმოადგენს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთვის. ამ ყველაფრის ერთ-ერთ მიზეზად შესაძლოა ბავშვების ტექნიკურ საშუალებებთან ხელმისაწვდომობა მოვიაზროთ, რადგანაც ტექნიკასთან წვდომა, გარდა იმისა, რომ ბავშვის გარკვეული სახით განვითარებას უწყობს ხელს, უმეტეს შემთხვევაში მთელ რიგ გონებრივსა თუ მეტყველებასთან დაკავშირებულ პრობლემებს წარმოქმნის და სწორედ ზემოთ აღნიშნული სპეციალისტების ჩართულობა ხდება აუცილებელი, რომ შემდგომში განვითარებული გართულებები აღმოიფხვრას.

ქალბატონი ნათია სოლოდაშვილი პროფესიით სპეცპედაგოგია. დღეს ის ჩვენი რუბრიკის სტუმარია და სკოლამდელი ასაკის ბავშვებში შეფერხებული მეტყველების, გონებრივი ჩამორჩენილობის, მისი გამომწვევი მიზეზების, აღმოფხვრის გზებისა და აღნიშნული საკითხების ირგვლივ მშობელთა ჩართულობის შესახებ გვესაუბრება:

– გამომდინარე იქიდან, რომ ბაღებში შეფასების შედეგად გამოიკვეთა სხვადასხვა დარღვევების მქონე ბავშვები და ასეთი ბავშვების რიცხვი არც თუ ისე ცოტაა, აუცილებელი გახდა ჩვენი ჩართულობა. თუმცა, განსაკუთრებული საჭიროების მქონე ბავშვების ადრეული დიაგნოსტიკა და სპეციალისტის დროული ჩარევა მნიშვნელოვანია უკეთესი შედეგების მისაღებად.

2010-2011 წლებში თბილისის ქართულ-ინგლისურ სკოლაში მუშაობდა. 2017-2021 წლიდან გახლდათ შშმ პირთა დღის ცენტრ „თებეში“ სპეცმასწავლებელი. 2018 წლიდან დღემდე მუშაობს ლიკანისა და ვარდგინეთის საბავშვო-ბაღა-ბაღში სპეცპედაგოგად. 2022 წლიდან ჩართულია ბორჯომის სარეაბილიტაციო ცენტრ „სედვა, ზრუნვა, მხარდაჭერა“-ს ქვეპროგრამებში. ასევე გახლავთ ქალთა ანსამბლ „მზეშინას“ წევრი, სადაც 2012 წლიდან მღერის. ცოტა ხნის წინ კი მან ასევე წარმატებით გაიარა ენისა და მეტყველების თერაპიისა და ლოგოპედიის კურსი, ჰყავს მეუღლე და ოთხი შვილი.

● საინტერესოა, ძირითადად რა სახის მეტყველების პრობლემებია გამოვლენილი როგორც სსმ, ასევე სკოლამდელი და სასკოლო ასაკის ბავშვებში?

– განსაკუთრებული საჭიროების მქონე ბავშვებთან მუშაობის პროცესში გამოიკვეთა სხვადასხვა ტიპის მეტყველების დარღვევები, როგორც პირველადი, ასევე მეორადი, რომელსაც თან ახლავს სხვადასხვა დიაგნოზები. ყველაზე გავრცელებულია მაგალითად: აუტიზმი, განვითარების ეტაპების დაყოვნება, ინტელექტუალური სფეროს დარღვევები.

– რაც შეეხება სკოლამდელი თუ სასკოლო ასაკის ბავშვებში, მათ მეტყველებაში ძირითადად გვხვდება ენის ბორძიკი, არასწორი არტიკულაცია, სუნთქვისა და ფონოლოგიური დარღვევები.

● რამდენად ხშირია, რომ მშობელმა არც კი იცის, რა სახის მეტყველების დარღვევა შეიძლება ჰქონდეს მის შვილს? რადგანაც ყველა მშობელს ხომ თავისი შვილი უნაკლო ჰგონია? არსებული საჭიროების აღმოჩენის შემთხვევაში, რამდენად ადვილია მშობელთან თქვენი როგორც სპეციალისტის კომუნიკაცია?

– მშობელს უჭირს მიმღებლობა (ანუ მას უჭირს შვილის ნაკლი დაინახოს სწორედ ისე, როგორც ის რეალურადაა) და ეს ბუნებრივიცაა, თუმცა ჩვენი ვალიც ის არის, რომ ობიექტურად დროულად მივაწოდოთ ინფორმაცია, ავუმაღლოთ ცნობიერება და ერთად ჩავერთოთ არსებული საჭიროების მოგვარებაში. ბავშვის ადრეული განვითარება დიდ როლს თამაშობს მის მომავალ ცხოვრებაში. ამ დროს წარმოქმნილი განვითარების უმნიშვნელო შეფერხებებიც კი განსაკუთრებულ კვალს ტოვებენ შემდგომ მთელ ცხოვრებაზე. 0-3 წლამდე ბავშვები უფრო ადვილად და სწრაფად სწავლობენ და შეიცნობენ სამყაროს, ვიდრე შედარებით მაღალ ასაკში.

ვფიქრობ, სპეციალისტის სწორი მიდგომა მშობელთან აადვილებს კომუნიკაციას. მიმღებლობაც გაცილებით მაღალია, როცა მშობელთან შეხვედრა კარგად დაგეგმილი და გაწერილია. თუმცა, არსებობს გამონაკლისი შემთხვევებიც.

● საინტერესოა, საერთოდ რა სახის ფაქტორებმა შეიძლება გამოიწვიოს მეტყველებასთან დაკავშირებული პრობლემები?

– მეტყველების დარღვევები შეიძლება გამოწვეული იყოს ისეთი ფაქტორებისაგან, როგორიც არის მაგალითად: ჯანმრთელობასთან დაკავშირებული პრობლემები, ტრავმები, მოკლე ლაგამი, მავნე ჩვევები, მოტორული უნარების დარღვევები, გარემო ფაქტორები...

– ბავშვის ფსიქიკური განვითარება იწყება დაბადების პირველი დღეებიდან. მისი მეტყველების ჩამოყალიბების პროცესი მნიშვნელოვნად დამოკიდებულია ნორმალურ სამეტყველო გარემოზე, აღზრდასა და სწავლებაზე.

რაც შეეხება ტექნიკასთან და ინტერნეტთან დიდი დოზით ხელმისაწვდომობას, ასეთი შემთხვევები ხშირად როგორც მეტყველების, ასევე ქცევითი დარღვევების მაპროვოცირებელია.

ტიპური განვითარების ბავშვებში იწვევს მთელ რიგ დარღვევებს და მითუმეტეს, როდესაც რაიმე შეფერხებასთან გვაქვს საქმე.

● სკოლამდელი მზაობის ბავშვი ასაკის შესაბამისად რა უნარ-ჩვევებს უნდა ფლობდეს?

– ბავშვის სასკოლო მზაობა სხვადასხვა უნარებს გულისხმობს. აღნიშნული უნარები პირობითად დაყოფილია რამდენიმე კატეგორიად: ჯანმრთელობა და ფიზიკური განვითარება, სოციალური და ემოციური განვითარება, სწავლისადმი მიდგომა, მეტყველების განვითარება, შემეცნება და ზოგადი ცოდნა.

6 წლის ასაკისთვის ამ სფეროებში შემავალი უნარები მეტ-ნაკლებად უნდა იყოს მომწიფებული. თუმცა, მნიშვნელოვანია გავითვალისწინოთ, რომ ყველა ბავშვი განვითარების ინდივიდუალურ გზას გადის და ბავშვის სასკოლო მზაობის შეფასების შედეგები უნდა გამოვიყენოთ არა ძირითადად იმისთვის, რომ სახელდება გავაკეთოთ, რომ ვიღაც არაა მზად, არამედ იმისთვის, რათა განვსაზღვროთ, რომელ სფეროში რა ხარისხის დახმარებას საჭიროებს ბავშვი და ვისი მხრიდან.

● საუბრის დასასრულს რჩევის სახით რომ ურჩიოთ მშობლებს, რომლებიც ჯერ კიდევ ასე ვთქვათ ძველმოდური მოსაზრებებს მისდევენ, რომ ბავშვი გაიზრდება და აუცილებლად ისწავლის საუბარს, შეძლებს დამოუკიდებლად კითხვას, წერას და ა.შ. რა ასაკიდან არის აუცილებელი, რომ მშობელმა ბავშვის მეტყველების არასწორად განვითარებაში შეიტანოს ეჭვი?

– საყურადღებოა, როდესაც ერთი წლის ბავშვი წლინახევრამდე საერთოდ არაფერს ამბობს, არ ასრულებს მარტივ ინსტრუქციებს, როდესაც ორი წლისთვის ვერ ახერხებს სიტყვების გადაბმას წინადადებაში. თუმცა, არსებობს მოსაზრება, რომ სამ წლამდე შეგვიძლია დავიცადოთ და არ მოვახდინოთ ჩარევა თუ ბავშვი არ ლაპარაკობს, თუმცა აქ არის დიდი „მაგრამ“, რომელსაც მშობელმა უნდა მიაქციოს ყურადღება. თუ სამ წლამდე ბავშვი თვითონ აქტიურად არ მეტყველებს, არ ეკონტაქტება მშობელს, სიტყვების ან ჟესტების საშუალებით და ამ დროს არც თავად ბავშვს ესმის, რას ელაპარაკებიან გარშემომყოფები, ამ შემთხვევაში სამ წელს არ ველოდებით და ვიწყებთ ჩარევას. თუ ბავშვს ესმის სიტყვიერი ინსტრუქციები, ჟესტებით მითითებების გარეშე, ასეთ შემთხვევაში შესაძლებელია სამ წლამდე მოცდა, რომ თვითონ ამეტყველდება. ადრეული ჩარევა ყველაზე ეფექტურია. რაც უფრო ადრე გამოვავლენთ პრობლემას და ჩავერევით, მით უფრო სწრაფად და უმტკივნეულოდ მოვაგვარებთ.

ესაუბრა **ნანო მელიქიძე**

ჟურნალისტის სვეტი

და კიდევ შენირული...

დავიწყებ იმით, რომ არ მსურს ვინმე არჩევანის წინაშე მაყენებდეს და მეკითხებოდეს ტრადიციულად ომი თუ მშვიდობა?!

ვიტყოდი გამართლებულია თავისუფლებით მშვიდობა. გონიერებით და არა ნულოვანი დიპლომატიით XXI საუკუნის მსოფლიოში. ქვის ხანაში დაბრუნება არამგონია ვინმეს სურდეს, თუმცა ხანდახან მაფიქრებს მისწრაფებათა კორიანტელი.

მე ვუსმენ ომგამოვლილ თაობას. ომი საშინელებაა... კიდევ უფრო ცხადად აჩვენა დღეს განვითარებულმა მოვლენებმა ინფორმაციული ტქნოლოგიების ეპოქაში. რა ხდება, როცა ქვეყანაში ომია? ჩამოგდებული ჭურვები ვერ ცნობს ბავშვებს, მოხუცებს, ყველაზე დაუცველ მოქალაქეებს.

გიფიქრიათ, რომ ომს მხოლოდ მსხვერპლი მოსდევს და გსურს მოლაპარაკებების გარეშე, დიპლომატიის გარეშე ცივილიზებულ სამყაროში ახალგაზრდების, საკუთარი მოქალაქეების, ბავშვების სისხლით მორწყული მიწების ფასად თავისუფლება?! საკმაოდ ბევრი ადამიანი იღუპება სიმსივნით, წამებით ამ გაუსაძლის, ბევრისთვის სასტიკ და არაკომფორტულ სამყაროში... და კიდევ შეწირულნი... იმისთვის, რომ ისევ იმ წერტილს დაუბრუნდეთ და ნგრევის, დაკარგული შვილის, დედის, ახლობლების შემდეგ მოლაპარაკებები გამართოთ?! კი მაგრამ, რატომ?! როდესაც შეგიძლია დაიწყოთ დიპლომატიით. და რას ვერ იყოფენ?! რისთვის იბრძვიან?! საზარბაზნე ხორცებს ითვლიან... არ ვოცნებობ საზარბაზნე ხორცად იქცენ ისედაც დიდი დემოგრაფიული საფრთხის ქვეშ მდგარი, მცირერიცხოვანი ქართველი ერი. აფხაზეთსა და სამაჩაბლოში მშვიდობით დაბრუნებას ვარჩევ, არა ტანკებითა და მსხვერპლშეწირვით, ბავშვებისა და ვაჟკაცების გვამების გადავლით. ომგამოვლილ თაობას ახსოვს, რა მდგომარეობამდე მიდის ყოფიერება ამ დროს. ომისდროინდელ ახალგაზრდა დედებს, ახსოვთ განვლილი სასოწარკვეთა, როდესაც შვილებისთვის კანფეტის ყიდვაც არ შეეძლოთ და რა რთული იქნებოდა აგეხსნა ბავშვისთვის, რომ მაღაზიაში მხოლოდ სასიცოცხლოდ აუცილებელი საკვებისთვის გქონდა თანხა.

ბოლო პერიოდია საქართველოში აქტუალობას არ კარგავს კითხვა: თავისუფლება თუ მშვიდობა?!

რიგითი ქართველი მაკა ნონიაშვილი ამბობს: - ბრძოლა მაინცადამაინც ომი და სისხლისღვრა უნდა იყოს ყოველ 10 წელიწადში განახლებულად? მშვიდობიანად რომ განვითარდეთ, ვითომ რა დაშავდება, ვიბრძოლოთ ჩვენი ხვედრი არ არის? იბრძოდა პაპაჩემის მამა პირველ მსოფლიო ომში. მერე მუშათა და გლეხთა კავშირმა თურმე ნაპერწკლიდან ალი აანთო და ცარიზმი დაამარცხა. 1924 წელს ამოხოცეს ინტელიგენცია, ძლიერი გლეხები გააკულაკეს, თავისუფლად მოაზროვნეები დახვრიტეს და ა.შ. მერე იბრძოდა პაპაჩემი მეორე მსოფლიო ომში, მერე აფხაზეთში და მერე და მერე, სულ შავებში ჩაცმული ბებიები, ევროპაში ვცხოვრობდი და როგორ ყვარებიათ ნათელი ფერები, რატომაც არა, იქ არც ბოლშევიკები დააფინანსეს და არ ჩაუგდეს ხელში რადიკალებს ხელისუფლება. ჰიტლერსაც დანებდნენ ველური რუსეთისკენ გამოუშვეს, გაერთიანდნენ ინგლის-ამერიკა-ევროპა და ისინი ტვინით იბრძვიან და ჩვენ სისხლით. არა ომს და სისხლისღვრას, სიმწრით დაზრდილი შვილები ვის შევაკლათ? მართლა გვჯერათ, რომ ამნაირ ომს აზრი აქვს? თორემ, ბრძოლას ყოველთვის აქვს აზრი, ბრძოლას და არა ომს და აუცილებლად გავიმარჯვებთ და იმ ადგილს დავიმკვიდრებთ სამყაროში, რაც გვეკუთნის. არც მეტი არც ნაკლები, ნუ დაგვავიწყდება რომ "არც ერთი ერი არ არის იმაზე მეტის ღირსი, რაც მას დაუმკვიდრებია თავად".

ზოგიერთნი კი ისევ და ისევ წერენ:

- მირჩევნია, ახლა მეჭიროს იარაღი ხელში და ვიცავდე ჩემსას, ვიდრე ჩემს შვილს დასჭირდეს რამდენიმე წელიწადში ახალი განმანთავისუფლებელი მოძრაობის დაწყება, ახალი 9 აპრილი, ახალი ომები, ახალი ჭიდილის 33 წელი...

აქვე კითხულობენ და რა ფასი აქვს მშვიდობას თავისუფლების გარეშე?!

...და თავისუფლებას მშვიდობის გარეშე?!.

ია ანანიაშვილი

ბორჯომელი ჟურნალისტი ამერიკაში

საქართველოდან ოცდაერთი ჟურნალისტი სასწავლო პროგრამის ფარგლებში ამერიკის შეერთებულ შტატებში წასასვლელად ჯერ კიდევ 2020 წლის იანვარში შეარჩიეს, მაგრამ პანდემია დაიწყო და ორი წლით გადაიდო აღნიშნული ვიზიტი. ბორჯომიდან ტელეკომპანია „ბორჯომის“ ჟურნალისტი ნინო ვართაპეტიანი შეუერთდა სასწავლო კურსს. მისი შრომისმოყვარეობა და მონდომების გადამდები მუხტი კიდევ დაეტყო მის მუდმივ მიზანსწრაფულობას. მედია განათლების პროგრამით ბევრი ახალი და საინტერესოს შემეცნება დროული და საჭირო გამოცდილებაა. მან დაწერილებით გაგვიზიარა ოკეანის გაღმა ქვეყნიდან მიღებული სიახლეები და დამოკიდებულებები, თუ როგორი იყო ეს სამი კვირა.

ნინო ვართაპეტიანი: - ჯერ ფლორიდაში ვიყავით. იქ კურსი იყო ძირითადად ციფრულ მედიაზე: როგორ მოვძებნოთ, გადავამოწმოთ ინფორმაციები, როგორ მოვამზადოთ ვიზუალურად ეფექტური მასალები, რა პროგრამები არსებობს, როგორ ხდება საიტის და კონტენტის აწყობა და კოდირება და სხვა ელემენტების გამოყენება. პირველი ეტაპი დასრულდა სერტიფიკატებით, სამახსოვრო ფოტოებით, პროფესიული წიგნებითა და დადებითი ემოციებით. ეს არის ქვეყანა, შტატი, ქალაქი, სადაც ადამიანები გიღიმიან და ყურადღებას გაქცევენ, რაც მთავარია, თვითონ არიან ზეპოზიტიურები, მშვიდები და განწონასწორებულები. იქაურობასაც მათი ხასიათი და განწყობა ეტყობა, ყველაფერი ფერადია და ლამაზი. დაუვიწყარი იყო სიტყვების უზარმაზარი გლობუსი, რაზეც დატანილი გახლდათ 100-ზე მეტი სიტყვა, რომელიც მედიას და ჟურნალისტიკას უკავშირდება. ტრენინგის მეორე დღე, პერსონალური დასაჩუქრებით დაიწყო. წიგნაკი საუკეთესო წარწერით ჩვენი სპიკერისაგან. ჩემთვის ძალიან საინტერესო ქალბატონის მიერ მოცემული რჩევები იყო, თუ როგორ ვმართოთ სტრესი ჟურნალისტებმა. საოცარი ადამიანები გვიზიარებდნენ საკუთარ გამოცდილებას ინფორმაციის გაშუქებაზე, ლიდერულ უნარ-ჩვევებსა და გუნდის მართვაზე. უღრმესი მადლობა მინდა გამოვთქვა პოინტერის ინსტიტუტის მისამართით უღრმესი მადლობა საუკეთესო მასპინძლობისათვის საქართველოში და ამერიკის საელჩოს. უდიდესი შთაბეჭდილების ქვეშ აღმოვჩნდი, როცა გაგვაცნეს ცოცხალი ლეგენდა, გენიოსი, ამერიკაში და მსოფლიოში ცნობილი მწერალი - **როი პიტერ კლარკი,** რომელსაც 20-ზე მეტი წიგნი აქვს დაწერილი და აქედან ერთი, საჩუქრად მარგუნა, თავისივე ავტოგრაფით. ეს ადამიანი თანამშრომლობს ყველაზე დაბალ ბიუჯეტურ გამოცემებთან, რომ მისი წიგნები დაბალ ფასში გაიყიდოს და მაქსიმალურად ბევრ ადამიანს შეეძლოს შეძენა და წაკითხვა. ბგერების ჟღერადობით მან პარალელები გაავლო ჟურნალისტიკასთან და ასე ხალისით გვასწავლა რაღაცები. გამიმართლა, რომ პირადად გავიცანი პოინტერის ინსტიტუტის ვიცე-პრეზიდენტი, უჭკვიანესი და უშუალო ადამიანი; მან პოინტერის ინსტიტუტის კურსდამთავრებულებად მიგვიჩნია საქართველოდან სასწავლო ვიზიტით მყოფი ჟურნალისტები. ჩემთვის, როგორც ადგილობრივი მედიის ჟურნალისტისთვის, განსაკუთრებით საინტერესო იყო ამერიკული ადგილობრივი მედია გამოცემის გამოცდილების გაზიარება. ამ მხრივ შერი დეისთან გვქონდა აქტიური კომუნიკაცია. მისი მედია ორგანიზაცია (ბეჭდური და ონლაინ გამოცემა) ფლორიდის შტატში არის ერთ-ერთი უმსხვილესი გამომცემლობა, მოგებული აქვს 13 პულიცერის პრიზი. არაჩვეულებრივი დღეები გავატარეთ ჯორჯიის სახელმწიფო უნივერსიტეტში, კერძოდ, ჟურნალისტიკის სკოლაში, სადაც დიდი პატივით ზარიც დავრეკეთ. ყველაზე მნიშვნელოვანი, რასაც თქვენც მიაქცევდით ყურადღებას, იყო სტუდენტებისთვის მაქსიმალური კომფორტული ცხოვრება ტრანსპორტითა და საცხოვრებელი პირობებით, კვებით უზრუნველყოფილი. ყურადღებიანი ხალხი ქუჩაში მოგხიბლავდათ, საკმარისი იყო რაიმე გეკითხათ, ყველაფერს გადადებდნენ და შენს დასახმარებლად ბოლომდე გამოგყვებოდნენ. მათი შემყურე, მეც ორმაგად ვეცდები ტურისტს დავეხმარო საკუთარ ქალაქში. ატლანტაში საქართველოს კონსულსაც შევხვდით. მოვინახულეთ სახლი, სადაც დაიბადა და ადგილი სადაც, დაკრძალულია მარტინ ლუთერ კინგი, ვნახეთ „კოკა-კოლას“ მუზეუმი, დავათვალიერეთ აკვარიუმი და უდიდესი ტელეკომპანია „სიენენ“. შევხვდით იმ ამერიკელ ჟურნალისტებს, რომლებიც 1989 წლის 9 აპრილს საქართველოში იმყოფებოდნენ. ამ მოვლენებზე მომზადებული ვიდეო გვაჩვენეს. უკრაინის ამბების ფონზე, ჩვენი ტრაგიკული წარსულის გახსენება იმდენად ემოციური იყო, სიტყვებით უბრალოდ ვერ აღვწერ. ასევე შევხვდით ჟურნალისტიკის ფაკულტეტის სტუდენტებსაც.

მონიკა ჯანგურია

ვულოცავთ!

ღირსებითა და სათნოებით გამორჩეულ ქალბატონს **ლარისა გაბუნიას**

ვულოცავთ დაბადების 77 და ოჯახური ბედნიერების 55 წლის იუბილეს.

შესანიშნავ მეუღლესთან მერაბთან, შვილებთან და შვილიშვილებთან ერთად ვუსურვებთ ბედნიერებას, ჯანმრთელობას და ღვთის წყალობას.

მრავალჟამიერ თქვენს სიცოცხლეს.

„ფანტანის“ სამეგობრო.

ბწყინარე სკოლაში

8 აპრილს წაღვერის საჯარო სკოლა თანამედროვე ქართველ პოეტს, მწერალს, დრამატურგს, ერთ-ერთ გამორჩეულ, უკეთილშობილეს ქალბატონს, **ნინო სადღობელაშვილს** მასპინძლობდა. უფროსკლასელებმა წაიკითხეს მისი ავტორობით მოზარდებზე დაწერილი მცირე რომანი „დაბადების დღე“ და წიგნის განხილვა საკლასო ოთახის ფორმატში ჩაატარეს. წიგნის მოკლე ისტორია ასეთია: ორი ტყუპი ძმა სახლიდან გაქცევის გადაწყვეტილებას მიიღებს, რადგან დაბადების დღის აღნიშვნა სურდათ, ზღვის დანახვით აღენიშნათ 15 წელი. რა თქმა უნდა, ზღვა სიმბოლურია, როცა სამაჩაბლოელ ლტოლვილ ძმებს აქვთ ოცნებად გადაქცეული ოდესმე მაინც ნახონ ზღვა როგორია. მიზნის მისაღწევად კი ეს გზა აირჩიეს. მათი ზღვამდე მისასვლელი გზაა ყველაზე საინტერესო, რადგან რა არ გადახდებათ თავს. მკითხველი ერთი ამოსუნთქვით მიენდობა ფურცლებს და მოხუცთა თავშესაფარშიც აღმოჩნდება. წიგნი მრავალპლანიანია: ერთი - მოზარდების რეალური პრობლემებია ნაჩვენები, რის გამოც მათ შველა სჭირდებათ, მეორე - მოხუცების მიმართ ყურადღების დეფიციტი, რამდენად გვესმის ძველ თაობას ახალი თაობის, მარადიული დილემა: დევნილად ცხოვრობდე საკუთარ სამშობლოში და ეძებდე „შუქურას“ - იმედს მომავლისას. ძმების თავგადასავლების პარალელურად მიმდინარეობს მასწავლებლების, მშობლების, მეგობრების ჩვენებები. მოსწავლეები საინტერესო კითხვებით მიმართავდნენ ავტორს და ასევე საინტერესო პასუხებს ისმენდნენ. ასეთი შეხვედრები ემსახურება მოზარდების წიგნიერების დონის ამაღლებას და კიდევ იმ აუცილებელ უნარებს, რასაც ლიტერატურა აძლევს ადამიანს. შეხვედრის დასასრულს ავტორმა საჩუქრად უსახსოვრა სკოლას თავისივე აუდიო-დისკები ლექსებით და ექსპედიციებით. სტუმარი მომავალში შემეცნებით აქტივობებს დაგვპირდა. წაღვერის საჯარო სკოლის მოსწავლეებს დაუვიწყარი ერთი დღე შეემატათ. ისინი ნელ-ნელა კარგ მკითხველებად ყალიბდებიან და ნუღარ ვიტყვით, რომ უწიგნური თაობის აღმზრდელები ვართ!

მონიკა ჭანტურია,
ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი

დახმარება ბენეფიციარებს

ბორჯომის მუნიციპალიტეტის მერიამ სოციალური პროგრამების ფარგლებში, მარტში 219 101 ლარის დაფინანსება გასცა. აღნიშნული თანხით, მუნიციპალიტეტმა დახმარება 775 ბენეფიციარს გაუწია.

121694 ლარი, 148 მოქალაქის სტაციონარული მომსახურებისათვის გამოიყო. მედიკამენტების შესაძენად 88 ბენეფიციარი 18 778 ლარით, ხოლო ონკოლოგიური დაავადებების მქონე 25 პაციენტი 21 631 ლარით დაფინანსდა.

სოციალური პროგრამების მიხედვით, დახმარება მიიღეს შშმ პირებმა, დედ-მამით ობლებმა და სხვა.

ბორჯომის მუნიციპალიტეტში 23-მდე სოციალური პროგრამა ხორციელდება. პროგრამის მთავარი მიზანია ადგილობრივი მოსახლეობის, ასევე სოციალურად დაუცველ ბენეფიციართა ეკონომიური მდგომარეობის გაუმჯობესება და მათი მხარდაჭერა.

წიგნის თარო

შეცდომის გამოსწორება არასდროს არაა გვიან



ჩვენი ხეობის მკვიდრმა წარმოშობით ყვიბისელმა, საქართველოს ისტორიის შესანიშნავმა მკვლევარმა და მრავალი საგულისხმო წიგნის ავტორმა, ისტორიულ-მეცნიერებათა დოქტორმა, **ვახტანგ გოილაძემ** გამოსცა მეტად საინტერესო და საგულისხმო მონოგრაფია, რომლის სათაურია **„ქართლის ერისმთავრები სტეფანოზ I და ადარნასე“**, რომელშიც გაანალიზებულია VI საუკუნის დასასრულსა და VII საუკუნის პირველ ნახევარში მოღვაწე ქართლის ერისმთავრთა ვინაობისა და მათი ურთიერთნათესაობის საკითხები. როგორც ავტორი ამტკიცებს, საარქივო მასალებზე დაყრდნობით უარყოფილია ქართულ სამეცნიერო ლიტერატურაში დღემდე დამკვიდრებული მოსაზრებები, ქართლის ერისმთავრად მიჩნეული იყო ვარსამუსე, ხოლო სტეფანოზ I-ი და ადარნასე მამაშვილებად მოიხსენიებოდა. ასევე გაანალიზებულია ის მიზეზები, რომლებმაც განაპირობა ეს შეცდომები.

როგორც მეცნიერი განმარტავს, სტეფანოზ I-ის და ადარნასეს მამაშვილად მიიჩნევა ქართული ისტორიოგრაფიის დიდი შეცდომა.

სტეფანოზ-I 591 წლიდან იყო ქართლის ერისმთავარი, იგი არ გარდაიცვალა 603-4 წელს და არც პოსტიდან გადაუყენებიათ. 604 წლიდან ქართლის ლაშქრით ბიზანტიის წინააღმდეგ ომში ირანის მხარეზე იბრძოდა კახეთის მთავარი ადარნასე და ქართლის კათალიკოსი კირონი.

628 წელს თბილისის დაბაციხის - კალას აღებისას თურქებმა სტეფანოზ-I-ს წამებით ამოხადეს სული. სტეფანოზ-I წმინდანად შერაცხეს.

ქართლის ერისმთავარს, ადარნასე ფარნავაზიანს, ბიზანტიის საკარისკაცო ტიტულით დაჯილდოებულს, დაკარგული ტახტის მაძიებელს, თბილისის დამცველთა წინააღმდეგ ბრძოლას თანამედროვენი დიდ ცოდვად უთვლიან.

რაც შეეხება ვარსამუსეს 614 წლიდან ქართლის ერისთავად მიჩნევას, ესეც დიდი შეცდომაა ქართულ ისტორიოგრაფიაში, ვარსამუსე ქართლის პიტიახში იყო.

მონოგრაფია გამართული ქართულითაა დაწერილი და ლაღად იკითხება, რაც ავტორის დიდ ერუდიციაზე და საკითხის სიღრმისეულად წვდომაზე მიგვანიშნებს.

ამ საინტერესო მონოგრაფიის რედაქტორია **გიორგი ჭეიშვილი,** ხოლო რეცენზენტი **ვალერიან ვაშაკიძე.** ნაშრომი ისტორიის ფაკულტეტის სტუდენტებისა და საქართველოს ძველი ისტორიით დაინტერესებული მკითხველისთვისაა გათვალისწინებული.

საპილოტე პროექტი

პრეთექსიონალი მაშველებისთვის დამსარე რგოლი

„საქართველოს წითელი ჯვრის საზოგადოება“, ,,ავსტრიის წითელ ჯვართან“ ერთად ახორციელებს ევროკომისიის პროექტს „სამოქალაქო დაცვის სისტემის გაძლიერება მოხალისეთა შესაძლებლობების გაძლიერების გზით“, რომლის მიზანია საგანგებო სიტუაციებზე რეაგირებისათვის

შესაძლებლობების მაქსიმუმი გამოიყენება,. აღნიშნული პროექტის განხორციელების არეალია ბორჯომისა და ახალციხის მუნიციპალიტეტები, რომელიც საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურთან მჭიდრო თანამშრომლობით ხორციელდება.

აღნიშნული პროექტი ხელს შეუწყობს საქართველოში მოხალისეობის სულისკვეთებისა და კულტურის განვითარებას სამოქალაქო დაცვის სფეროში.

პროექტის საწყის ეტაპზე ჩატარდა კვლევა მოხალისეობის სფეროში, ქვეყანაში არსებული სიტუაციის გასაანალიზებლად და კვლევის საფუძველზე შემუშავდა ერთობლივი მოხალისეთა განვითარების გეგმა და საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურთან თანამშრომლობის მოდელი.

პროექტის ფარგლებში ბორჯომისა და ახალციხის მუნიციპალიტეტებში ჩამოყალიბდა წითელი ჯვრის და საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის ერთობლივი მოხალისეთა ჯგუფები. სწორედ ამ მოხალისეთა გუნდებმა მიიღეს ოთხი დღის მანძილზე საველე პირობებში როგორც პრაქტიკული, ასევე თეორიული ცოდნა (ერთობლივი ტრეინინგები და სიმულაციური ვარჯიშების მეშვეობით), წინასწარ დაიგეგმა და არსებული მოხალისეთა ჯგუფები საჭიროების შემთხვევაში ჩაერთვებიან იმ საქმიანობებში, რომელიც უშუალოდ ეხება კატასტროფების დროს მზადყოფნას, პრევენციას, რეაგირებასა და აღდგენას.

ბორჯომსა და ახალციხის მუნიციპალიტეტებში შექმნილი მოხალისეთა ჯგუფები იქნებიან სწორედ პროფესიონალი მაშველებისათვის დამხარე რგოლი და ამ გზით უზრუნველყოფენ, განამტკიცებენ კატასტროფებისათვის მზაობას და სწრაფ რეაგირებას ადგილობრივ დონეზე. ეს ყოველივე კი საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურთან კოორდინირებით მოხდება.

16 მაისს კი მოეწყობა საჩვენებელი (ე.წ. შემაჯამებელი) ღონისძიება, სადაც ორივე მუნიციპალიტეტში არსებული მოხალისეთა ჯგუფები, მიღებული თეორიული და პრაქტიკული ცოდნის დემონსტრირებას მოწვეული აუდიტორიის წინაშე მოახდენენ.

მნიშვნელოვანია, რომ პროექტი არის საპილოტე და სამ ქვეყანაში: საქართველოში, უკრაინასა და სომხეთში ხორციელდება.

ნაბო მელიქიძე

საგზაფხული დასუფთავების სამუშაოები ინტენსიურ რეჟიმში მიმდინარეობს

ბორჯომში საგაზაფხულო დასუფთავებითი სამუშაოები ინტენსიურ რეჟიმში მიმდინარეობს.

დასუფთავებით სამუშაოებს ა(ა)იპ ბორჯომის „დასუფთავებისა და კეთილმოწყობის სამსახური ახორციელებს.

დასუფთავების სამუშაოების ფარგლებში, სუფდავდება ქალაქის შიდა ქუჩები, საფეხმავლო ბილიკები, მუნიციპალიტეტის მასშტაბით, სადეზინფექციო საშუალებებით ხდება ავტომოსაცდელების და ურნების რეცხვა. ასევე, იწმინდება სანიაღვრე არხები.

ციური ფალავას გამოსათხოვარი

ციური მასწავლებელი გარდაიცვალაო, ელვისებურად მოედო მოულოდნელი ამბავი სკოლას და ქალაქს.

მასწავლებელი გარდაიცვალა, პატიოსნების, სამართლიანობის, მიუკერძოებლობის და კეთილშობილების მაგალითი, ღირსეული ღირსეულთა შორის.

საქმის პროფესიონალი, ადამიანების და ადამიანობის დამფასებელი და უზომოდ ყურადღებიანი. კაცთმოყვარე, უფლის მოშიში და მეგობარი, რომელიც ნებისმიერ ქმედებას მართლმადიდებლურ ჭრილში განიხილავდა და ცდილობდა საქმით თუ ადამიანური ურთიერთობებით დარჩენილიყო სახედ და ხატად ღვთისა.

მიიცვალა აბსოლიტური მზაობით სამუდამო სასუფეველში გადასასვლელად. მისი ყოველდღიურობაც სწორედ ასეთი იყო, მუდმივი მზადება უფალთან შესახვედრად.

იცხოვრა რწმენით, ბედისწერას შეხვდა რწმენით და მიიცვალა რწმენით. ნათელი დაადგეს მის სულს, იქ, სადაც მართალნი განისვენებენ.

ბორჯომის №1 საჯარო სკოლის პედკოლექტივი.

გაზეთი რეგისტრირებულია ბორჯომის სასამართლოს მიერ 1997 წელს, რეგისტრაციის №24.04.59
რედაქციამ შეიძლება გამოაქვეყნოს ისეთი წერილები, რომელთა ავტორების თვალსაზრისს თვითონ არ იზიარებდეს.
გაზეთის დამფუძნებელია რედაქციის კოლექტივი.
მისამართი: ბორჯომი, ფალიაშვილის ქ.№2. ტელ: 22-29-65. იბეჭდება შპს გამომცემლობა „საარში“. ქ. თბილისი, თეოდორე მღვდლის ქ.№57.
borjomi@inbox.ru **რედაქტორი: ვალერიან ლომიძე**

წმინდა ნინოს ქ. №9 სახლის მეზობლები იუწყებიან კეთილშობილი, სათნო პიროვნების
ციური ფალავას
გარდაცვალებას და სამძიმარს უცხადებენ მის ერთგულ ძმას ლევან ფალავას.